საგარეჯო



# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(179) 2018 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

### პატივი მიაგეს სოლომონ ქურდიანის ხსოვნას

## ჩვენი თანამემამულე — პოლონეთის სატყეო მეურნეობის ამაგდარი



**ქალაქ** საგარეჯოს პოლონეთის პოზნანის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები და გარემოსდაცვითი სფეროს ექსპერტები ესტუმრნენ. მათი ვიზიტის მიზანი იყო, კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ და პატივი მიეგოთ ცნობილი ქართველი მეცნიერის, მეტყევისა და პედაგოგის სოლომონ ქურდიანის ხსოვნისთვის.

სოლომონ ქურდიანის ძეგლთან საპატიო სტუმრებს უმასპინძლეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადარმა, ამავე სამსახურის თანამშრომლებმა ანი ანუაშვილმა და ლაშა იაკობიძემ, ასევე - მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ხელმძღვანელმა ზვიად ტიგინაშვილმა და მეტყევე-რეინჯერებმა.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ საქართველოსა და პოლონეთს დიდი ხნის მეგობრული, კულტურული, სამეცნიერო, გარემოსდაცვითი და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებთ. ამ ურთიერთობათა სიმბოლოს წარმოადგენდნენ საგარეჯოელი სოლომონ ქურდიანი და პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩიც. ითქვა ისიც, რომ სოლომონ ქურდიანმა პოლონეთში მიიღო განათლება, იქ მოღვაწეობდა წლების მანძილზე და დიდი წვლილი შეიტანა პოლონეთის სატყეო მეურნეობის განვითარებაში. რაც შეეხება ლუდვიგ მლოკოსევიჩს, მან ბევრი გააკეთა საქართველოში სატყეო დარგის, განსაკუთრებით კი ლაგოდეხის ნაკრძალის განვითარებისთვის.

სტუმრებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობები კვლავაც გრძელდება. კერძოდ, 26 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე გაიხსნა მე-2 საერთაშორისო ქართულ-პოლონური კონფერენცია, სახელწოდებით: „თანამშრომლობა სატყეო და გარემოსდაცვით საკითხებში". სამდღიან საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. პოლონურმა მხარემ კონფერენციის მონაწილეებს პოლონეთის სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობა გააცნო და გამოცდილება გაუზიარა.

მერიის თანამშრომლებმა მადლიერებით აღნიშნეს, რომ პოლონელი სტუმრების კიდევ ერთი დელეგაცია 1 ოქტომბერს იმყოფებოდა საგარეჯოში და პატივისცემა გამოხატეს დიდი ქართველი მეცნიერის, მეტყევისა და პედაგოგის მიმართ. არჩილ ჯაბადარის თქმით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა მიესალმება საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ლამაზ ტრადიციებს და გამოხატავს მზადყოფნას, თავისი წვლილი შეიტანოს ამ ურთიერთობათა გაღრმავებაში.

შეხვედრის დასასრულს, სოლომონ ქურდიანის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს.



### სტუმრები საგარეჯოში

## ისაუბრეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დღევანდელ მდგომარე-ბასა და სამომავლო გეგმებზე



**2018 წლის** 6-9 ნოემბერს საქართველოს ევროპა ნოსტრას და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის სპეციალური მისია ესტუმრა. 4 დღიანი მისიის ფარგლებში ევროპა ნოსტრას ვიცე პრეზიდენტმა პიტ ჯასპაერტმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტის ექსპერტმა კამბელ ტომსონმა და ევროპა ნოსტრას კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო საბჭოს წევრმა გაიანე კასნატმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე (იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, ლავრა, უდაბნოს მონასტერი, დოდოსრქა, საბერეები) პრაქტიკული სამუშაოები უკვე განახორციელეს. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებს ალექსი გილაშვილს, პაატა ასრათაშვილს და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებს შეხვდნენ, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არსებულ ვითარებაზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ოფიციალური ვიზიტის შემდეგ სტუმრებმა ქართული ტრადიციული სამზარეულო და ქვევრის ღვინო დააგემოვნეს, ფოლკლორულ ანსამბლებს მოუსმინეს და ადგილობრივ კულტურას გაეცნენ.

შეგახსენებთ, რომ 2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელიწადის გახსნაზე სფეროს წამყვანმა ევროპულმა ორგანიზაციამ - ევროპა ნოსტრამ და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტმა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი 2018 წლის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლთა ნუსხაში შეიყვანა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლია. კომპლექსი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ივრის ზეგანზე, ნახევარუდაბნოში და ოცზე მეტი კლდეში ნაკვეთი მონასტრის და რამდენიმე ასეული სენაკისაგან შედგება. სამონასტრო კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი; 2007 წელს კომპლექსი შეყვანილია მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნულ წინასწარ ნუსხაში. დავით გარეჯი, როგორც ქართული კულტურის უნიკალური ძეგლი და ღირსშესანიშნავი ადგილი მისი გამორჩეული მნიშვნელობის, კულტურული ღირებულების და მის წინაშე მდგარი დაზიანებების გარდაუვალი საფრთხის საფუძველზე შეირჩა. მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიჩნეული იყო შენარჩუნებაში ადგილობრივი თემების, საჯარო და კერძო დაინტერესებული სუბიექტების ჩართულობა. შერჩევის კიდევ ერთი ასპექტი, ასევე, ამ ადგილების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კატალიზატორად გადაქცევის პოტენციალი გახლდათ. განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა პირველად ჩატარდა 2013 წლის იანვარში ევროპა ნოსტრას მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტთან, როგორც თანადამაარსებელთან და ევროპის განვითარების ბანკის საბჭოსთან, როგორც მონაწილე პარტნიორთან თანამშრომლობით. განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამა არ ემსახურება დაფინანსებას. მისი მიზანია იყოს ქმედების კატალიზატორი და გააძლიეროს „მაგალითის ძალის" მნიშვნელობა. მას მხარს უჭერს ევროკავშირის კრეატიული ევროპის პროგრამა, როგორც ევროპა ნოსტრას პროექტის „მემკვიდრეობის გაზიარება - ღირებულებების გაზიარება" ნაწილი. http://7mostendangered.eu/evropa nostra ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ორგანიზაციის პრეზიდენტია მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი და დირიჟორი პლასიდო დომინგო. ევროპა ნოსტრა პროგრამის „საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი" ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშაფტების გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს მეშვეობით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ ინსტიტუციებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან 3.3, რითაც თავისი წვლილი შეაქვს მემკვიდრეობის სფეროში ევროპული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ევროპა ნოსტრა აწარმოებს uropean Year of Cultural Heritage 2018 საზოგადოებრივი გათვითცნობიერების აქტიურ კამპანიას. ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტი (EIBI) დაარსდა EIB ჯგუფის (ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპული საინვესტიციო ფონდი) ფარგლებში, ევროპული სტეიქჰოლდერებისა და ფართო საზოგადოებისთვის სოციალური, კულტურული და აკადემიური ინიციატივების მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის. ეს არის მთავარი საყრდენი I ჯგუფის საზოგადოებრივი და სამოქალაქო ჩართულობისთვის. შემოქმედებითი ევროპა წარმოადგენს ევროკავშირის ახალ პროგრამას, რომელიც მიმართულია კულტურის და შემოქმედებითი სექტორების გაძლიერებისკენ. პროგრამის 2014-2020 წლების ბიუჯეტს €1.46 მილიარდი შეადგენს. შემოქმედებითი ევროპა მხარს უჭერს ორგანიზაციებს რომლებიც მოღვაწეობენ კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, საგამომცემლო, კინოინდუსტრიის, ტელევიზიის, მუსიკის და ვიდეო თამაშების სფეროებში, ასევე ათობით ათას მხატვარს, კულტურის და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიონალს. დაფინანსება მათ შესაძლებლობას აძლევთ განავრცონ თავიანთი მოღვაწეობა მთელი ევროპის მასშტაბით, მოიზიდონ ახალი აუდიენცია და განავითარონ თავიანთი უნარები. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (GACC) ნომინაციის წარმდგენი, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წლიდან მუშაობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტებზე. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა ევროპა ნოსტრას არაერთი ჯილდო მიიღო და 2016 წლიდან წარმოადგენს ევროპა ნოსტრას ოფიციალურ წარმომადგენლობას საქართველოში.

ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური

# ის, რაც მათი ვალია



***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური ის პირველადი სტრუქტურული ერთეულია, რომელსაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობებიდან გამომდინარე, აქ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი და ღონისძიება ხორციელდება, რათა წარმატებით გადაიჭრას სამსახურის წინაშე მდგარი ყველა საკითხი.***

***კერძოდ, თუ რა გაკეთდა წლის დასაწყისიდან ამ კუთხით და რით იყო აღსანიშნავი განვლილი 9 თვის პერიოდი, ამის შესახებ გვესაუბრება ამ სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბადარი.***

***– ბატონო არჩილ, მოდით ჩვენი საუბარი ახალგაზრდული კუთხით გატარებული ღონისძიებებით დავიწყოთ. რა პროექტები განახორციელეთ, რისი გაკეთება შეძლით ამ პერიოდში?***

– განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, 21 მარტს, დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ჭრელი წინდების აქცია - სლოგანით „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს". ჭრელი წინდების აქციაში მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა და აქტიურმა ახალგაზრდებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე 5 ადამიანს გადაეცა საჩუქრად ტანსაცმელი და კვების პროდუქტი. იმავე მარტშისამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, წარმატებული და სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური ახალგაზრდებისთვის შევიძინეთ 20 წიგნი (გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კრებული), რომელიც წლის განმავლობაში წარმატებულ და აქტიურ ახალგაზრდებს გადაეცათ.

18 აპრილს, სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ბავშვები, ახალგაზრდები და მათი მშობლები იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, კინოთეატრში სამგანზომილებიანი ანიმაციური ფილმის სანახავად.

10 მაისს, სამსახურის ინიციატივით, ჩატარდა დასუფთავების აქცია. მოხალისე ახალგაზრდების მონაწილეობით დასუფთავდა სოფელ მანავის საჯარო სკოლის და იქ მდებარე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, რაშიც 25 ბავშვი იღებდა მონაწილეობას.

15 მაისს, გაანთლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთობლივი სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით - „მე მიყვარს თბილისი", რომელიც ეძღვნებოდა დედაქალაქის 1560 წლის იუბილეს. ღონისძიების ბოლოს, 10 აქტიურ ახალგაზრდას საჩუქრად გადაეცა დავით ტურაშვილის წიგნი „ჩაძირული ქალაქი", რომელიც ეხება თბილისის საიდუმლოებებს. ღონისძიებაში მონაწილეობდა 30 ახალგაზრდა.

25 მაისს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთობლივი სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა თეიმურაზ ჯანგულაშვილის შემოქმედებითი საღამო და მხატვარ ნინო ჯანგულაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბავშვებისთვის შევიძინეთ 50 შეკვრა ფერადი ცარცი და 300 ცალი ჰაერის ბურთი და 1050 ნაყინი.

2016 წლიდან, ყოველწლიურად ტარდება ლიტერატურული კონკურსი „ნატვრის ხე", რომელიც დაარსდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გოგლაობის დღესასწაულთან დაკავშირებით. 2018 წლის ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა მონაწილემ. გამარჯვებულ ავტორებს გადაეცა ფულადი ჯილდო და გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კრებული.

I ადგილი - 300 ლარი

II ადგილი - 200 ლარი

III ადგილი - 100 ლარი

22 ივნისს ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკი სოფელ უდაბნოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ბანაკში დრო დაეთმო სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს, ბანაკის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად გამოყენების (მონაწილეთა რაოდენობა - 25 ახალგაზრდა) სწავლება.

2 ივლისს ჩატარდა ექსკურსია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 35 ახალგაზრდის მონაწილეობით, ახალგაზრდებმა მოინახულეს მანგლისის სიონი და დაშბაშის კანიონი.

13 ივლისს ჩატარდა „ახალგაზრდული ბანაკი" სოფელ გომბორში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ბანაკში დრო დაეთმო სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს. ბანაკში მონაწილეობდა 25 ახალგაზრდა

15 აგვისტოს სოციალურად დაუცველი ბავშვები და ახალგაზრდები (20 ახალგაზრდა) იმყოფებოდა ქ. თბილისში, კინოთეატრში, სამგანზომილებიანი ანიმაციური ფილმის სანახავად. ღონისძიება მიზნად ისახავდა მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

26 აგვისტოს შშმ ბავშვები და ახალგაზრდები იმყოფებოდნენ კახეთში (შუამთა, წინანდალი, იყალთო). ექსკურსიის მიზანი იყო მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა, შშმ პირთა ინტეგრაცია.

17 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2017-18 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ მედალოსნებს გადავეცით წიგნები.

5 ოქტომბერს აღინიშნა „მასწავლებლის საერთაშორისო დღე", 10 ღვაწლმოსილ მასწავლებელს გადაეცა ტკბილეულის კალათი, ხოლო 3 წამყვანი კატეგორიის მასწავლებელს – წიგნები - „ქართული ხატები" და ყვავილების თაიგული.

რაც შეეხება ამ კუთხით ჩვენს უახლოეს გეგმებს – მიმდინარე ნოემბრის თვეში იგეგმება სტუდენტების წაყვანა მუზეუმში. 3 დეკემბერს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხვედრა, ღონისძიების მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა და ინტეგრაცია.

***– რას გვეტყვით განათლების კუთხით სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.?***

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 28 დაწესებულება და ლამბალოს 2 ალტერნატიული ჯგუფი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელთა საერთო რაოდენობაა-1325, აქედან ალტერნატიულ ჯგუფებში 60 აღსაზრდელია. მუნიციპალიტეტში 64 აღმზრდელია, აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა) - 63. მათ საქმიანობას ხელმძღვანელობს ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი: ელზა გილაშვილი), სადაც სულ 9 თანამშრომელია.

მიმდინარე წელს ნაწილობრივი ***რემონტი ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებას, კერძოდ:***

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორი

## ოთარ ბუზარიაშვილი:

# „სასმელი წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა და მისი გამართულად მუშაობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა..."



**ცენტრი, რომელიც ამ შვიდიოდე წლის წინ შეიქმნა, ყოველდღიურად მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა. მათი მოვალეობა მხოლოდ მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა კი არ არის, ამავე დროს ისინი უვლიან და პატრონობენ იმ სათავე-ნაგებობებს, რეზერვუარებს, სასმელი წყლის ქსელებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში რთული ლანდშაფტის გამო მიუვალ ადგილებშიც კია. ამიტომ მათ დიდი ძალისხმევა სჭირდებათ – ლაბორატორიული კვლევებისთვის წყლის სინჯის აღება, ასევე, მეთვალყურეობა და მოვლა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ამასთან რიგ შემთხვევაში სათავე-ნაგებობებთან მოსახლეობა ხშირად, განსაკუთრებით კი გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში გასართობებს აწყობს, რაც ერთგვარად აბინძურებს გარემოს და აქედან გამომდინარე იქმნება საშიშროება სასმელი წყლის დაბინძურებისაც. ასე, რომ აიპ-ის თანამშრომლებს მართლაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. სწორედ თავიანთ საქმიანობაზე გვესაუბრება დღეს *აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორი* ოთარ ბუზარიაშვილი:**

– მოგეხსენებათ, რომ ააიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი 2011 წელს შეიქმნა ყოფილი სანიტარული ინსპექციის ბაზაზე.

ცენტრი ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასმელი წყლის ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ბოლო ორი წელია ჩვენს სამსახურის ფუნქციებს დაემატა სოფლებში არსებული სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, სასმელი წყლის ქსელების მიმდინარე რემონტი.. ამის გამო 2018 წელს შევქმენით საავარიო ჯგუფი, რომელიც სოფლებში მერის წარმომადგენლებისგან შემოსული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და იშვიათად სატენდერო შეტყობინების საფუძველზე, გადის ავარიის ადგილზე და ახდენს დაზიანებული ქსელის რემონტს.

2018 წელს ***სოფ. კაკაბეთში*** მოვაწყეთ გამრეცხი, ***სოფ. წყაროსთავში*** - მოვაწყეთ შემკრები გამანაწილებელი, ***სოფ, გომბორში*** ცენტრალური გზის გასწვრივ შევცვალეთ 1000მ მილი,რამდენიმეჯერ შეკეთდა დაზიანებული წყალსადენები ***სოფ, ნინოწმინდაში*** - რეზერვუარებზე მოეწყო თავსახური საკეტი, შეიცვალა 200 მ სიგრძის წყლის მილი, რამდენჯერმე შეკეთდა დაზიანებული წყალსადენი, ***სოფ. კოჭბანში*** - აღდგენილი იქნა დაზიანებული წყალსადენი, ***სოფ. ოთაარაანთკარში*** დავამონტაჟეთ 2 ცალი 2 ტონიანი წყლის ახალი რეზერვუარი. ***სოფ. გიორგიწმინდაში*** შეიცვალა დაზიანებული წყლის ჩამკეტი, შევცვალეთ 350მ სიგრძის წყლის მილი, საუბნო ონკანები, ***სოფ. მარიამჯვარში*** ახლიდან გავიყვანეთ 650 მეტრი სიგრძის წყალსადენი. ***სოფ. ბადიაურში*** ორჯერ შევაკეთეთ ე.წ „სოკარის" - წყალსადენი და მოვაწყეთ საუბნო ონკანები. ***ზემო ყანდაურაში*** შევაკეთეთ 150 მეტრი წყალსადენის მილი, დავამონტაჟეთ საუბნო ონკანები, შევაკეთეთ დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მილი. ***სოფ მანავში*** - შევაკეთეთ დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალი, შევცვალეთ გამანაწილებელი ჭის ურდულები, ე.წ. „ტურის" უბანში შევაკეთეთ დაზიანებული წყალსადენი, საბავშვო ბაღში და მიმდებარე კორპუსში შევიყვანეთ წყალი და დავაყენეათ საუბნო ონკანები, ***სოფ. ხაშმში*** რამდენჯერმე მოხდა დაზიანებული ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის შეკეთება, ზოგ შემთხვევაში შეიცვალა წყალსადენის მილიც, ***სოფ. პატარძეულში*** „ფიდინაანთ" რეზერვუარზე გავწმინდეთ წყლის ფილტრი, ***სოფ. ვერხვიანში***- მოვაწყეთ ახალი ჩამკეტი სარქველი, ***სოფ. კაზლარში*** მოვაწყეთ 600 მ სიგრძის წყალსადენის მილი, ***სოფ, ქეშალოში*** შევაკეთეთ წყლის მილი, ***ლამბალოში*** აგრეთვე აღვადგინეთ დაზიანებული წყლის მილი, იორმუღალნოში შევცვალეთ დაზიანებული სასმელი წყლის მილი, ***სოფ. უჯარმაში*** მოვახდინეთ 100მ წყლის მილის აღდგენა.

2018 წელს ჩვენს მიერ თითქმის ყოველთვიურად ტარდება სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზები, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოძველებული ქსელების გამო და იმის გამო, რომ სასმელი წყლის სათავეებს საკმაოდ რთული რელიეფური მდებარეობა აქვს, ლაბორატორიულ გამოკვლევაში ხშირად გვიჩვენებენ უარყოფით შედეგს, რის გამოსწორებასაც არსებული სადეზინფექციო საშუალების გამოყენებით ვცდილობთ.

ჩვენი სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს რაიონის ტერიტორიაზე არსებული საბავშო ბაღების სასმელი წყლის ლაბორატორიულ კონტროლს და არსებული დარღვევების შესახებ ვაცნობებთ შესაბამის სამსახურებს. ვახორციელებთ მომართვის შესაბამისად კერძო და იურიდიული პირების სასმელი წყლის ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას, რაც საკმაოდ ეხმარებათ მათ თავიანთი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაში. სასმელი წყლის სისტემის მოვლა- პატრონობა და მისი გამართულად მუშაობა საკმაოდ რთული და საპა სუხისმგებლო საქმიანობაა, ამიტომაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დიდი ხელშეწყობით ვცდილობთ მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წლით უზრუნველყოფას.

დასასრულს მინდა ჩემი მოკრძალებული თხოვნა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივაწვდინო, – გავუფრთხილდეთ ტყეს, რადგანაც ისედაც გლობალური დათბობის პირობებში სასმელი წყლის დებეტი სულ უფრო და უფრო მცირდება. ნუ გავჩეხავთ ტყეს, რომელიც სასმელი წყლის გამომუშავებისთვის მეტად საჭირო გარემოა, თორემ როგორც მეცნიერები და ბრძენი ადამიანები გვიწინასწარმეტყველებენ, რამდენიმე წელიწადში ისეთი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დავდგებით, რომ ვერანაირი ფულადი სახსრებით მდგომარეობას ვეღარ გამოვასწორებთ.

***ჩაიწერა***
*თინა ილაურმა*

# საზოგადოებრივი აზრი

## „როგორი პრეზიდენტი მინდა მყავდეს?!..“

***საქართველოს** პრეზიდენტის არჩევნების I ტურში 25 საარჩევნო სუბიექტიდან ვერც ერთმა ვერ გადალახა 50+1%-იანი ზღვარი. მეორე ტური გარდაუვალი გახდა. ერთი შეხედვით, თითქოს ახლა უფრო გამოცოცხლდა ამომრჩეველი. განსაკუთრებული სინანული შეიმჩნევა იმ ამომრჩეველთა კატეგორიისათვის, ვინც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ ან ვერ მიიღო მონაწილეობა 28 ოქტომბრის არჩევნებში. ახლა სწორედ ამომრჩეველთა ის ნაწილი ემზადება მეორე ტურში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად. თუმცა, ყველას – პირველ ტურში არჩევნებზე მისულებს და მეორე ტურში აქტიური მონაწილეობის მსურველებსაც ერთი სურვილი აქვთ – ჰყავდეთ ისეთი პრეზიდენტი, როგორიც თავად უნდა...*

– მინდა მყავდეს პატრიოტი პრეზიდენტი. რას ნიშნავს ჩემთვის პატრიოტი პრეზიდენტი? – ისეთი, როგორიც დღევანდელ საქართველოს – დანაწევრებულს (აფხაზეთად და ოსეთად), განახევრებულს (ემიგრანტებით), გაჭირვებულს (ეკონომიურად) შეეფერება. ის უნდა იყოს ეროვნული, მეტ-ნაკლებად ერკვეოდეს საქართველოს ეკონომიკაში, ჩვენი ქვეყნის აგრარულ სფეროში, რადგან საქართველო აგრარული ქვეყანაა და დიახაც კარგად შეუძლია იმ ძველი დარგების აღორძინება და განვითარება, რომლებსაც ჩვენი წინაპრები თუნდაც ახლო წარსულში მისდევდნენ – მეაბრეშუმეობას, მეთუნეობა, ხალიჩების ქსოვა, მესაქონლეობა (სტალინი ქიზიყს მარცვლეულის მოყვანის შედეგებით მეორე უკრაინას უწოდებდა, რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირის „პურის ბეღელად“ იწოდებოდა) – ეს ჩვენთან კახეთში და რამდენი ხელობა მიივიწყა რაჭა-ლეჩხუმმა, სვანეთმა, გურიამ, მესხეთ-ჯავახეთმა, თუშეთმა, საერთოდ მთამ და ბარმა.

პრეზიდენტი კარგად უნდა ერკვეოდეს საგარეო ურთიერთობებში, კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული და იმ ქვეყნების პოლიტიკოსებსაც და ხელმძღვანელებსაც შეაგნებინოს, რომ რუსეთიც, ჩრდილო კავკასიის ხალხებიც – ლეკები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდო-ბალყარელებიც, აზერბაიჯანელები, სომხები ჩვენი მეზობლები არიან, მეზობლები და არა მარტო დამპყრობელი და ჩვენი მიწა-წყლის მიმტაცებელი. დიახ, ჩემმა პრეზიდენტმა ეს ყველაფერი ქართველ ერთან ერთად უნდა მოაწესრიგოს. ჩემს და შენს პრეზიდენტს ტკივილამდე უნდა სტკიოდეს ბუდემოშლილი სამაჩაბლოელების, სოხუმელების, ოჩამჩირელების ტკივილი, სტკიოდეს დაკარგული მიწების ადგილის დედის ტკივილი, რუსულ ეკლესიად გადაკეთებული, შეთეთრებული ილორის წმინდა გიორგი და აფხაზთაგან შებილწული კომანი, ჭუბერის უღელტეხილის ვერგადამლახავთა საფლავები... ის დიპლომატიური, მოლაპარაკებების, მშვიდობიანი გზით უნდა შეეცადოს ამ პრობლემების მოგვარებას, მეზობელ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, უვიზოდ ამ ქვეყნებთან მისვლა-მოსვლის დაკანონებას.

ჩემი პრეზიდენტი ქვეყნის კონსტიტუციას პატივს უნდა სცემდეს და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან არ გამოდიოდეს, ქვეყნის კონსტიტუციას თავის პიროვნულ მოთხოვნებს არ უნდა არგებდეს... და ამასთან, ადვილი არ უნდა იყოს უცხოელთათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღება.

*უშანგი ჩაფიძე,*

***ტექნიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, საქართველოს ღირსების ორდენოსანი.***

– – – – – – – – – – – – –



**მე** ვისურვებდი, რომ საქართვეკლოს პრეზიდენტი იყოს ისეთი პიროვნება, რომელიც იქნება ხალხის მიმართ კეთილგანწყობილ;ი და იზრუნებს თითოეული მოქალაქის, ასევე, ქვეყნის კეთილდღეობაზე, წინსვლაზე, მის გამთლიანებაზე. მეტად მიაქციოს ყურადღება განათლების სისტემის განვითარებას. პრეზიდენტი არის ქვეყნის სახე, ამიტომ ვისურვებდი, რომ იგი, როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, იყოს მისაბაძი ყველგან და ყველასთვის.

*რიზვან უსუფოვი,*

***სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე***

– – – – – – – – – – – – –

**მინდა** საქართველოს ჰყავდეს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც იზრუნებს ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე. იზრუნებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, მათთვის და მათ შორის მასწავლებლებისათვის ხელფასების გაზრდაზე. მასწავლებლები ხომ ქვეყნის მომავალი თაობების აღმზრდელები არიან და მათი ეს შრომა სათანადოდ უნდა დაფასდეს.

*ბადირა ნასიბოვა,*

***სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.***

– – – – – – – – – – – – –



**ჯერ** დავიწყოთ, როგორი **<u>არ მინდა</u>** იყოს საქართველოს პრეზიდენტი.

– დიახ, არ მინდა ისეთი უპრინციპო, უავტორიტეტო და ლიბერალი პრეზიდენტი, რომელიც საკითხს ვეტოს დაადებს და მას ვერ დაიცავს.

– არ მინდა პრეზიდენტი, რომელიც საჯარო მოხელეთა „ზღაპრულ ხელფასებსა და ზღაპრულ მივლინებებს“ არ გადახედავს და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის პროპორციულად არ განსაზღვრავს...

– არ მინდა პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანაში სწავლის დაწყებას საჯარო მოხელეთა შვილების არდადეგების დამთავრებას „ამთხვევს“.

– არ მინდა პრეზიდენტი, რომელიც საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ყურადღებას არ მიაქცევს მომავალი თაობის ნორმალურ აღზრდას, არ ასწავლის მათ უფროსებთან მოქცევის წესებს, სამშობლოს გულიანად სიყვარულს და რაც მთავარია, შეაგნებინოს, რომ მას ყველაფრის უფლება ჯერ-ჯერობით არ აქვს.

– არ მინდა, მან შეიწყალოს რეციდივისტი, მე ვამბობ – რეციდივისტი, რომელსაც რამდენიმე მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი.

**<u>მინდა:</u>**

– **ისეთი** პრეზიდენტი, რომელიც კანაფისა და მარიხუანას ნაცვლად იმ წყლებს უპატრონებს და შემოსავლად გაუხდის ქვეყანას, რომელიც ასე სჭირდება სხვა ქვეყნებს, მაგალითად ისეთი, როგორიცაა „სნო“, „ლიკანი“ და ა.შ.

– ჩინეთში ღვინის გატანა კარგია, მაგრამ უკეთესი იქნება, ისეთი ქვეყანა მონახოს და აღადგინოს მასთან მეზობლური ურთიერთობა, რომელიც ოდითგანვე ჩვენს ღვინოს სიამოვნებით მოიხმარს, რომელის გატანა უფრო იაფიც დაგვიჯდება.

– ეკონომიკას მიხედოს საქმით და არა სიტყვით...

– იზრუნებს მიგრანტების დაბრუნებაზე, აქ, ამ საოცარ და მდიდარ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნაზე...

– ის მართლაც მთავარსარდალი უნდა იყოს, არეგულირებდეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში შექმნილ მდგომარეობას, სადაც სამსახურს თავს არ უნდა არიდებდეს არც ქართველი და არც ეთნიკურად არაქართველი.

– ადამიანებს უნდა მისცეს სამსახური და არა დახმარება – ის ფული, რაც ადამიანებს „აზარმაცებს“, შრომას ავიწყებს...

– კონტროლი გაუწიოს საზღვარგარეთ საჯარო მოსამსახურეთა საქმიან ვიზიტებსა და და არა გასართობ „ვოიაჟებს“...

– თუ ისრაელში ქართველი ებრაელი სასწაულს ახდენს, იწყებს საქმეს, ბიზნესს და ანვითარებს და მილიონერი ხდება, აქ რა გვემართება ქართველებს? ბიზნესს, მცირე მეწარმეს, ფერმერს ხელის შეწყობა უნდა...

– მინდა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი ჭეშმარიტი, ნაღდი პატრიოტი, საქმიანი, თითოეულ ადამიანზე მზრუნველი პიროვნება იყოს...

*გივი როსტიაშვილი,*

***81 წლის პენსიონერი, 55 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე***

# <u>ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური</u>

## ის, რაც მათი ვალია

**<u>გაგრძელება</u>**

**შიბლიანის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ხუროშვილი), ბავშვთა რაოდენობა-18. 2018 წელს განხორციელდა სამზარეულო-საკუჭნაოს რეაბილიტაცია და შენობაში სველი წერტილების მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 30 000 ლარი.

**მზისგულის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანანა ფილაური), ბავშვთა რაოდენობა-20. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს კეთილმოწყობა, ასევე სველ წერტილამდე წყლის ახალი მაგისტრალის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 8 500 ლარი.

**ყანდაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: რუსუდან მაზანაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-38. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს კეთილმოწყობა, ასევე სველი წერტილების რეაბილიტაცია. ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 19 000 ლარი.

**ბადიაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ირმა ჩალათაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-50. განხორციელდა კარის ბლოკის მოწყობა და სველი წერტილების რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 3 500 ლარი.

**ვერხვიანის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ვერიკო საგინაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-16. ჩატარდა დაზიანებული ოთახების და საკუჭნაოს რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 35 000 ლარი.

**კაკაბეთის 1 სკოლამდელი** აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ლეილა ამბარდნიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-25. განხორციელდა შენობაზე ახალი სახურავის მოწყობა, სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 90 000 ლარი.

**კაკაბეთის** № 2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მაყვალა მეურმიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-38. განხორციელდა შენობის სახურავის შეცვლა, ასევე ჭერისა და იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 65 000 ლარი.

**დიდი ჩაილურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თინა შიოშვილი), ბავშვთა რაოდენობა -22. განხორციელდა ლამინატის იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 500 ლარი.

**მანავის №1** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ნინო დალაქიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-58. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია და დაზიანებული კარის ბლოკების შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 11 500 ლარი.

**მანავის №2** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მაია მირზაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-20. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაო ოთახების მოწყობა-რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 10 300 ლარი.

**თოხლიაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მზია ტერტერაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-25. განხორციელდა სამზარეულოსა და საკუჭნაოს შეკეთება, გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და ეზოს შემოღობვა ლითონის ბადით. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 12 600 ლარი.

**გომბორის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ნეკრესელაშვილი), ბავშვთა რაოდენობა –28. განხორციელდა სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობა –რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 6 000 ლარი.

**ხაშმის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მაია ქუმეთიანი), ბავშვთა რაოდენობა –40. განხორციელდა შენობაში სანათებისა და ელ. გაყვანილობის შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 7 000ლარი.

**პატარძეულის** № 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მარიკა შათირიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია, სველ წერტილებამდე წყლის მილების მიყვანა, გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და შენობის დაზიანებული სახურავის შეცვლა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 45 000 ლარი.

**პატარძეულის** №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ეკა ახვერდაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა სველი წერტილების რეაბილიტაცია, კარისა და ფანჯრის ბლოკების შეცვლა, ასევე საჭიროა განხორციელდეს დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 15 000 ლარი.

**წყაროსთავის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: რიტა ბაქანიძე), ბავშვთა რაოდენობა-15. განხორციელდა შენობაში სასმელი წყლის შეყვანა და სველი წერტილების შეკეთება–რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 15 000 ლარი.

**ნინოწმინდის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მანანა ასრათაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-70. განხორციელდა შენობის დარჩენილ ოთახებში სამღებრო სარეაბილიტაციო სამუშაოები.ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 16 300 ლარი.

**ქ. საგარეჯოს № 1** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: თამარ ლაფერიშვილი), ბავშვთა რაოდენობა-192. განხორციელდა დაზიანებული კარის ბლოკების შეცვლა–რეაბილიტაცია და დაზიანებული ლამინატის იატაკის მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7 000 ლარს.

**ქ. საგარეჯოს №2** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: მზია ბეჟიტაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-120. განხორციელდა დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 2 000 ლარი.

**ქ. საგარეჯოს №3** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ნანა სულიკაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-70. განხორციელდა შენობაში საპირფარეშოსა და სამრეცხაო ოთახების მოწყობა. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7000 ლარს.

**ქ. საგარეჯოს №6** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: ეკა დარისპანაშვილი), ბავშვთა რაოდენობა-40. განხორციელდა კარის ბლოკების მონტაჟი, სველი წერტილების მოწყობა, სველ წერტილებამდე წყლის მილის მიყვანა და ქსელთან დაერთება. ჩატარებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 7 000 ლარი.

**ასევე**:

. 2018 წელს განახლდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონაცემთა ელქტრონული ბაზა;

. მიმდინარეობდა სხვადასხვა ინსტანციებიდან განათლების საკითხებზე შემოსული კორესპონდენციების განხილვა და მათზე სათანადო რეაგირება;

• სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

*<u>გაგრძელება მე-6 გვერდზე</u>*

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# დაზიანებული ქუჩები წლის ბოლომდე აღდგება

### მამისაშვილის ქუჩა

**მოსახლეობის** შეუფერხებელი წყალმომარაგება ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიზნით ქალაქ საგარეჯოში წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება.

პროექტის განხორციელებისას შესრულებული სამუშაოების შედეგად, არაერთ ქუჩაზე ასფალტის საფარი დაზიანდა. მათ აღდგენას პროექტის მესამე ეტაპი ითვალისწინებს.

ამ დროისთვის, მამისაშვილის ქუჩაზე უკვე მიმდინარეობს დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენითი სამუშაოები, რომელთაც შპს „თბილი სახლი“ ახორციელებს. წლის ბოლომდე კი აღნიშნული პროექტის ფარგლებში საგარეჯოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისას ყველა დაზიანებული ქუჩის რეაბილიტაცია მოხდება.







### საგარეჯო, დოდაშვილის ქუჩა

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი ასრულებს ქალაქ საგარეჯოს მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებას - შიდა საუბნო გზების აღდგენის შესახებ.

ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს დოდაშვილის გზის რეაბილიტაცია, რომელიც მთლიანად მოასფალტდება.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 98360 ლარს შეადგენს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „კავკას ავტომაგისტრალი“ ასრულებს.





## აღდგენილი საირიგაციო სისტემით 5 სოფელი ისარგებლებს

**გარემოს** დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აქტიურად აგრძელებს.

ამჯერად საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

აღდგენითი სამუშაოები უტარდება მარცხენა მაგისტრალური არხის 14 კილომეტრიან მონაკვეთს და მასზე არსებულ სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობას (გალერეა, დიუკერი, გვირაბი, სახიდე გადასასვლელი, ღვარსაშვი).

მიმდინარე ღონისძიებების შედეგად, კახეთში სარწყავი წყლის მიწოდება 5000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით მუნიციპალიტეტის 5 სოფლის (ნინოწმინდა, საგარეჯო, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი) მოსახლეობა ისარგებლებს.



ინფრასტრუქტურა-2018

ინფრასტრუქტურა-2018

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## სტადიონის რეაბილიტაცია

**მიმდინარე** წლის 23 მაისს საგარეჯოს ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი ექსპლუატაციაში შევიდა და დღემდე რამდენიმე ოფიციალური შეხვედრაც გაიმართა. თუმცა, სტადიონის ინფრასტრუქტურა რეაბილიტაციას საჭიროებდა.

ბოლო პერიოდში აქტიურად ხორციელდება სტადიონის გასახდელისა და ტრიბუნების აღდგენა. სამუშაოებს შპს „კლასიკ სტროი“ ახორციელებს.

სტადიონის მთლიანი რეაბილიტაციის ხარჯები რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება.





## სვანური კოშკი – მოსაცდელი



**სოფელ** უდაბნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი შეემატა: სოფლის შესასვლელთან ახლოს, ახლახანს დასრულდა ტურისტული ტიპის მოსაცდელის მშენებლობა და კეთილმოწყობა.

მოსაცდელს ტრადიციული სვანური კოშკის ფორმა აქვს, რომლის გვერდით ფანჩატური მოეწყო. დასრულდა ტერიტორიის შემოღობვა. დაიდგა სკამები. უახლოეს პერიოდში კი ტურისტული ბანერი და ნაგვის ურნებიც დამონტაჟდება.

პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 19000 ლარია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“დააფინანსა. ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ მიმართულებას ტურისტული სექტორის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სოფელ უდაბნოს და მისგან სულ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ უდაბნოს სამონასტრო კომპლექსს ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი ქართველი და უცხოელი ვიზიტორი სტუმრობს. ტურისტული ბანერი პირველად ჩასულ დამთვალიერებლებს აუცილებელი ინფორმაციების მიღებაში დაეხმარება.

საპროექტო სამუშაოების დადგენილ დროში და ხარისხიანად შესრულება ადგილობრივმა ინდ.მეწარმე „მაია ბეიტრიშვილმა“ უზრუნველყო, რომელსაც ყველანაირად ედგა გვერდით ადგილობრივი თვითმმართველობა.

ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაც აქტიურად იყო ჩართული: მოსაცდელის წინ გაკეთდა კიბეები და დეკორატიული ტერასა, რის საერთო ღირებულებამ 3500 ლარი შეადგინა. ტერასაზე მომავალში ყვავილების დარგვა იგეგმება. ამას გარდა, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ელექტროენერგიის მიყვანა და გარეგანათების მონტაჟი განხორციელდა. მოსაცდელის განათებით უზრუნველყოფაზე დაახლოებით 8000 ლარი დაიხარჯა. უახლოეს პერიოდში კი დაგეგმილია ადგილზე სასმელი წყლის მიყვანა და სველი წერტილის მოწყობა.

## სიჩქარის შესაზღუდავად

**საგარეჯოს** მერიამ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სიჩქარის შემაფერხებელი ზოლები დაამონტაჟა. ე.წ. “ბუგაროკები” მოეწყო ქალაქ საგარეჯოში, სოფელ ლამბალოში, ბადიაურში, პატარა ჩაილურში, დიდ ჩაილურში, პატარძეულსა და ნინოწმინდაში.

ბარიერები ძირითადად სკოლებსა და საბავშვო ბაღებთან გაკეთდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 26 000 ლარი დაიხარჯა.








№21(179) 2018 წელი, 1-15 ნოემბერი

## განათლება

# რატომ უყვართ ეკა მასწავლებელი...

## ქვეყნის წარსულისა და მომავლის სიყვარულით



***ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძის** ფესვები ძირძველი ქართული სოფლიდან თოხლიაურიდანაა. არდადეგების დროს სოფლის ულამაზესი ბუნება, იქაური მშრომელი, ფუსფუსა ადამიანები ისე ხიბლავდა, რომ მათ მიმართ თავისი სიყვარული და სითბო ფანქრით, ფუნჯით, აკვარელის ლამაზი ფერებით ან ფურცელზე, ან ტილოზე გადაჰქონდა. ზამთრის გრძელ, მოსაწყენ საღამოებს კი პატარა საქსოვ დაფას მიუჯდებოდა და ნატურალური, მცენარეული მასალით შეღებილი ძაფებით პატარ-პატარა გობელენებს, ხალიჩებს ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა. არ აინტერესებდა გარშემო რა ხდებოდა, მისი 3 და და ნანატრი ძმა რას თამაშობდნენ, რითი ირთობდნენ თავს. ხშირად განმარტოვდებოდა და წიგნებს კითხულობდა, მერე მამას უზიარებდა წაკითხულის ირგვლივ თავის მოსაზრებებს. სკოლაში ქართულიც უყვარდა და მათემატიკაც, ფიზიკაც, ქიმიაც, მაინც უპირატესობას ისტორიას ანიჭებდა, აოცებდა ათასვარამგამოვლილი, ჭირთამთმენი ქართველების უდრეკი, მეომრული სული, ქრისტიანობისათვის თავდადება სტკიოდა მშობლიური, მკერდჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი XVII საუკუნის კახეთი და ფერეიდანში გადასახლებული ქართველების... მაგრამ ეამაყებოდა, რომ კახეთისა ისევ გრძელდებოდა სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა, იმ დღესასწაულებისა, რომელსაც საქართველოსა და ქრისტიანობის დვრიტა ედო – საუკუნეების წინ ჯერ გადამთიელთა თვალის ასახვევად, შემდეგ კი კომუნისტების „მოსატყუებლად“. სტკიოდა „კალობნობა“, მაგრამ უხაროდა. იმ მტრისგან გალეწილ კახელ ყრმათა ნასისხლარზე ისევ ქართველები დააბიჯებდნენ და რაღაცნაირი სიჯიუტით ანთებდნენ სანთლებს, დოღს და ჭიდაობას მართავდნენ. ამიტომაც დიდი ენთუზიაზმით ხვდება ახლა დიდჩაილურში „ბერიკაობას“. მხოლოდ პატარაჩაილურელების არ არისო ეს სახალხო დღესასწაულიო და „გაბედა“ თავის მოსწავლეებთან, სოფლის მოსახლეობასთან ერთად დიდ ჩაილურშიც გაიმართა სანახაობა...*

*ეკა დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელია. თავისი ბედი აქაურს დაუკავშირა და სოფელი შეიყვარა, შეისისხლხორცა და დღეს სოფლის თითოეული ქვის ისტორიაც კი იცის... მასალებს აგროვებს – სურვილი აქვს მეტი ცოდნა გადასცეს მოსწავლეებს მშობლიური სოფლის ისტორიის შესახებ. მისთვის, როგორც მასწავლებლისათვის ბავშვები მხოლოდ მოსწავლეები როდი არიან, რომელთა ქართველებად აღზრდისათვის თითოეულმა ქართველმა სწორად უნდა დადოს „აგური“ – შეაყვაროს, შეაგრძნობინოს ენა მამული, სარწმუნოება... ამიტომაცაა, რომ მისი მოსწავლეებისთვის ისტორიის გაკვეთილი მხოლოდ ისტორიის საგანს არ აცნობს, ეს სრულიად საქართველოს მაჯისცემაა, ქართული სისხლის ყივილი, ენის სიდიადეა... ამაში მათ ისტორიულ-მატერიალური ძეგლების დათვალიერება, მისი ისტორიის გაცნობა-შესწავლაც ემატება. და ამას ერთად აკეთებენ, ერთად ემზადებიან ნამდვილ, ჭეშმარიტ ქართველებად ჩამოყალიბებისა და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. თუ ყველა რაიმე პროფესიას ვერ მიიღებს, საქართველოს გულშემატკივრად, მის ჭირისუფლად, მის აღმშენებლად მტკიცედ ყოფნას მაინც წარმატებით შეძლებს.*

*დღეს დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

***– ეკა, გაგვაცანი შენი თავი, ოჯახი, მეუღლე, შვილები.***

– დავამთავრე საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

ჩემი მეუღლეა გელა ვეშაპიძე, ამჟამად დაუსაქმებელი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, წარსულში 110 თარჯზენში მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის გამარჯვებული და ყოფილი სსრკ-ს სპორტის ოსტატი, საქართველოს მძლეოსანთა გუნდის კაპიტანი, სსრკ-ს ნაკრების წევრი, მრავალგზის რეკორდსმენი და თანაავტორი.

გელა უზომოდ მოწესრიგებული, ზომიერი, ღირსეული ადამიანია. 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე. სხვადასხვა დროს მუშაობდა კახეთის სამხარეო სამმართველოში საპასუხისმგებლო სამსახურებში. ბოლო წლებში პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის დაცვის პოლიციის უფროსად.

მინდა სიმართლე ვთქვა, რომ მისი უზომოდ მადლობელი ვარ. რატომ?

– ვინც ვარ დღეს, როგორც პედაგოგი, მას დიდი წვლილი აქვს. სწორედ მას რომ დავეყენებინე არჩევანის წინაშე, ოჯახს ავირჩევდი და დღეს არ ვიქნებოდი ეკა მასწავლებელი!

მყავს სამი შვილი – ნინა, ქეთი და გელა უმცროსი. სტუდენტები არიან, ნინა – ფლორისტი (მესამე ფაკულტეტზე სწავლობს უკვე), ქეთი ხელოვნებათმცოდნე – თეატრალურ უნივერსიტეტში. გელა – მომავალი მფრინავი, საავიაციო უნივერსიტეტის საფრენოსნო ფაკულტეტის სტუდენტი.

***– რატომ აირჩიე პროფესია პედაგოგობა, საგანი ისტორია?***

– სიმართლე, რომ ვთქვა, ჟურნალისტობა უფრო მინდოდა. ვწერდი კიდეც, ვიყავი შტატგარეშე კორესპონდენტი გაზეთების – რაიონული „ივრის განთიადის“ და რესპუბლიკური „ნორჩი ლენინელის“, ჩემი წერილები იბეჭდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, საკავშირო გაზეთ „Пионерская правда“-ში.

ისტორია უზომოდ მიყვარდა, საერთოდ ჰუმანიტარული საგნები. როცა არჩევანის წინაშე დავდექი, მივხვდი, წერა ისედაც შემეძლო. მეტი სარგებლობა შემეძლო მომეტანა, როგორც პედაგოგს და ამაყად და გულწრფელი გულით ვიტყვი – არ ვნანობ.

***– საქართველოს ისტორიიდან რომელი პერიოდი მოგწონს საქართველოსი და რატომ?***

– გამორჩეულად მიყვარს XX საუკუნის მიწურულის ბოლო ოცწლეული. სულ სხვაა, როცა შენს თვალწინ ხდება ერის გამოღვიძება, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, სამოქალაქო ომი, აფხაზეთი... – ეს ის მომენტია, რაც თავად შეგიძლია გააანალიზო, დასკვნა დადო და არა მატიანეებში დაწერილი ამოიკითხო და დაისწავლო.

***– ისტორიკოსი ხარ და მითხარი – შენი საყვარელი ისტორიული გმირი...***

– ძალიან ბევრია ასეთი – ფარნავაზი, გორგასალი, დემეტრე თავდადებული, ვახტანგ VI, ლაშა გიორგი, გიორგი ბრწყინვალე, მაგრამ განსაკუთრებით ბერი თევდორე კვეთელი და 200 მეომარი დიდგორის ბრძოლიდან.

***– ლიტერატურული გმირი...***

– ასეთიც ძალიან ბევრია. ხშირად ისინი მენატრებიან. მთელ წიგნს არა, მაგრამ რაღაც ეპიზოდებს გადავიკითხავ ხოლმე. განსაკუთრებით მიყვარს რემარკის რავიკი (ტრიუმფალური თაღი), ჯემალ ქარჩხაძის „იგი“, ლიზელი-ბუზაკის „წიგნის ქურდი“. ეს გოგონა ჩემს მუშაობას მახსენებს. ოსკარი და დედა როზა. ერიკ ემანუელ შმიტის ოსკარი და ქარვისფერი ქალბატონიდან ოსკარი, იგი ებრძვის ლეიკემიას. თითქოს ჩვენი ნიკაა კირაკოზაშვილი. ნიკა გასულ ზაფხულს გარდაიცვალა, ჩვენი სკოლის მოსწავლე იგივე დიაგნოზით, და კიდევ მიყვარს ლევან გოთუას „გარეჯულა“.

***– გამოზარდე თუ არა ისტორიკოსი? ვინ?***

– დიახ, არაერთი. ბევრი მათგანი დღესაც წარტმატებული პედაგოგია (უფროსი მასწავლებლები). აქამდე სულ გოგონები იყვნენ, ამჟამად ისტორიულზე ვაჟიც სწავლობს – ოთარ ლოლაძე.

***– გიყვარს ხატვა, ქსოვა...***

– ხატვა მიყვარს, თუმცა აქტიურად აღარ ვხატავ. ახლა ქეთი ხატავს. ვქარგავ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ძაფების საშუალებით ვხატავ.

***– გობელენები, ხალიჩები. იღებ თუ არა ნატურალურ ფერებს, ვთქვათ მცენარეებიდან?***

– ნატურალური ფერების მიღება ვიცი მცენარეებიდან. კაკლის წენგო, ბროწეულის ქერქი, ენდრო და ა.შ. მაგრამ უფრო საქსოვ ძაფს ვღებავით, როცა ვართავდით.

***– ყვავილები – რატომ ყვავილები? რა სახეობის? გიფიქრია, გიგრძვნია, რომ ისინი მგრძნობიარეები არიან? გიფიქრია, რომ ფოთოლს სისხლძარღვები ეტყობა? თუნდაც ვაზის ფოთოლს?***

– რაც შეეხება ყვავილებს, თამამად ვიტყვი, რომ არ არსებობს წელიწადის ისეთი დრო და დღე, რომ ჩემს სახლში ყვავილი არ ყვაოდეს. ჩემი ყვავილებით „ავადმყოფობის“ ამბავი იცის მთელმა სოფელმა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ რაც თავი მახსოვს, ყოველთვის გვყავდა ყვავილები (გვყავდა და არა გვქონდა. ხშირად მისწორებენ, მაგრამ ჩემთვის სულიერი არსებები არიან) მიყვარს როგორც ბაღის, ასევე, ოთახის მცენარეები. საუკეთესო კოლექცია მაქვს ზამბახების, ქრიზანთემების, ნარცისების, ვარდების, კაქტუსების, სუკულენტების და ოთახის, ანუ უზარმაზარი იების(იგივე სენარილია).

რაც შეეხება ვაზს, ვაზის მიმართ უსაზღვრო მოწიწებას ვგრძნობ. გვაქვს საკუთარი მეურნეობა და მონაწილეობას ვიღებ მის გაშენებასა და მოვლაში.

***– შენი აზრით, რატომ უყვართ ეკა მასწავლებელი?***

– ალბათ იმიტომ, რომ ეკა მასწავლებელს უყვარს თავისი მოსწავლეები. მათ იციან, როცა ვუწყრები, ამასაც სიყვარულით ვაკეთებ. ისინი ძალიან კარგები არიან, მაგრამ მინდა საუკეთესოები იყვნენ. მე ისინი ყოველდღიურად უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე წინა დღეს.

***– რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რომ ის მოსწავლეებს უყვარდეთ?***

– უნდა უყვარდეს ბავშვები და საგანი, რომელსაც ასწავლის, იყოს თანამედროვე და სამართლიანი.

## ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური

# ის, რაც მათი ვალია

**გაგრძელება**

ვთანამშრომლობდით და კონსულტაციებს ვუწევდით აღნიშნული დაწესებულებების ადმინისტრაციას და თანამშრომლებს მათთვის საჭირო საკითხებზე;

• ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლებთან ერთად ადგილზე შევისწავლიდით დაწესებულებების ძირითად პრობლემებს, მათთვის შემდგომი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით (მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტებისათვის);

• ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების და ჩვენი სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად რეგულარულად ვანხორციელებდით ამ დაწესებულებების საკვები პროდუქტებით მომარაგების მონიტორინგს;

- დახმარებას ვუწევდით რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების პროექტების მომზადებაში; დატკიცებულ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციაში.

- შევმუშავებდით წინადადებებისა და კონცეფციებს სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;

• „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციისათვის ვანხორციელებდით შესაბამის სამუშაოებს ;

• ვანხორციელებდით საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით და მუნიციპალიტეტის მერის დავალებით სხვა უფლებამოსილებებს;

• ვახდენდით სასკოლო მზაობის პროგრამით სწავლების ჯგუფებში ღია გაკვეთილებზე დასწრებას.

• განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სოფელ ლამბალოს №1, №2 სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული დაწესებულებების, სოფელ დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქმიანობას და სათანადო დახმარებას ვუწევდით სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის საქმეში.

• გარდა აღნიშნულისა, სკოლამდელი დაწესებულებების (მათ შორის დუზაგრამის) აღსაზრდელები მიწვეულები იყვნენ საბავშვო თეატრ „ჭინჭრაქას“ სპექტაკლზე „კომბლე“. (ამავე კონცერტში მონაწილეობდნენ ვახტანგ ტატიშვილი და ნუგზარ კვაშალი).

-აქტიურად ვთანამშრომლობთ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს– ცენტრთან ( უფროსი: მანანა ცუცქირიძე), ვეხმარებით საჯარო სკოლებს სხვადასხვა საკითხებში (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლეთა ექსკურსიების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ);

ასევე აღსანიშნავია, რომ სათანადო დაფინანსებით ვუზრუნველყოფთ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატში „ეტალონი“ ჩვენი მოსწავლეების მონაწილეობას და კონკურსში გამარჯვებული მოსწავლისათვის სტიპენდიის გადაცემას ერთი წლის განმავლობაში ( სტიპენდია გაიცემა ყოველთვე 100ლ.).

***– საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხი თქვენი სამსახურის პრეროგატივაა...***

– წლის განმავლობაში ჩვენი სამსახურის მიერ დაფინანსდა ესპანეთის სამეფო კარის, უსინათლო ბავშვთა საერთაშორისო ფონდისა და ხელოვნების სააგენტოს „არტ პროდუსინგი“-ს მიერ ინიცირებული პროექტი „ჯენტლმენების ფანტაზია.“ (ტარიელ სუარი და ორი მონაწილე); ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ნატო გელაშვილის საღამო;

ჩვენი სამსახურის თანხებით დაფინანსდა: ბავშვების ფოლკლორული ანსამბლის „გარეჯელები“ ტრანსპორტირება საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების მე-4 ეროვნულ კონკურსზე; ანსამბლის „მირელა“ და პატარძეულის ლიცეუმის მოსწავლეების ტრანსპორტირება ქ. თბილისში ფრანგული კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად; დაფინანსდა ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის მიერ ორგანიზებული ღონისძიების მონაწილეების ტრანსპორტირება სოფ. უდაბნოში, რომელიც მიეძღვნა 26 მაისს.

19 მაისს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და გიორგი ლეონიძის სახელობის სახლმუზეუმში ჩავატარეთ „ღამე მუზეუმში“, იმავე 19 მაისს გაიმართა სახალხო-რელიგიური დღესასწაული „გარეჯობა“.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის - 17.04.2018 წლის 02/15 ბრძანების საფუძველზე გიორგი ლეონიძის სახელობის სახლმუზეუმს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი.

მიმდინარე წლის 10 ივნისს სოფ. ხაშმის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა რევაზ ინანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება „რეზოობა.“ ღონისძიებას ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე რევაზ ინანიშვილის ოჯახის წევრები და მოწვეული სტუმრები, ასევე ივნისში გიორგი ლეონიძის სახლმუზეუმში, ტრადიციულად გაიმართა „გოგლაობა“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ა(ა)იპ კავშირმა „პოეზიის მეგობართა კლუბი,“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განახორციელა საგანმანათლებლო-ლიტერატურული პროექტი „ცოცხალი წიგნები.“ (პროექტის ხელმძღვანელი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე.)

პროექტის ფარგლებში, 18 ოქტომბერს, გიორგი ლეონიძის სახლმუზეუმში მოეწყო შეხვედრა თანამედროვე მწერლებთან (შაკო ბაკურაძე, ნუკრი წერეთელი, ანი კოპალიანი, გივი ჩიღვინაძე, ვასო გულეური, ბექა ახალაია), მათ თან ახლდათ პროექტის კოორდინატორი ლელა ცუცქირიძე.

„საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციასთან თანამშრომლობით მზადდება მომდევნო ტომი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ. წიგნის მთავარი რედაქტორია თამაზ დვალი. მასთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილი და შესწავლილი იქნა ახალი ძეგლები.

მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „მემკვიდრეობა.“დაწყებულია სოფლებში მცხოვრები იმ ადამიანების ჩაწერა, რომლების შემოქმედება, მოგონებებიც, ოჯახში შემონახული ძველი სურათები და ნივთები ფასეულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით. პროექტის განხორციელებაში ხელს გვიშლის გადასაღები კამერის არქონა (არსებულს ტექნიკური ხარვეზი აქვს). აქვე უნდა დავძინო, რომ სამონასტრო კომპლექსი „დავით გარეჯი“ 2018 წლის „ევროპა ნოსტრას“ საფრთხეში მყოფი ძეგლების ფინალურ ნუსხაში მოხვდა. განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამის ფინალისტები კულტურული მემკვიდრეობის წამყვანმა ევროპულმა ორგანიზაციამ „ევროპა ნოსტრა“ და ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტიტუტმა დაასახელა. პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ძალთა მობილიზაციას განსაკუთრებული მიშვნელობის ძეგლებზე სარეაბილიტაციო ქმედებების დასაჩქარებლად.

7-8 ნოემბერს, ამ პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტს სტუმრობდა ექსპერტების ჯგუფი, მათი მიზანია შეისწავლონ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში არსებული პრობლემები, ასევე შეისწავლონ ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# სპორტი

## ფეხბურთი

## პირველობენ ნინოწმინდელები

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში გრძელდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომლის ორგანიზატორები მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურია. ოლიმპიადის ფარგლებში დაგეგმილი ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტარდება: მინიფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და ტრადიციულად „მხიარული სტარტები“.

25 ოქტომბერს დასრულდა ტურნირი მინიფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქალაქ საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლისა და ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეები. ანგარიშით 7:5 გაიმარჯვეს ნინოწმინდელმა მოსწავლეებმა. სწორედ ისინი გაემგზავრებიან რეგიონულ ტურზე. მათი ფეხბურთის ფორმებისა და მგზავრობის ხარჯებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია აანაზღაურებს.



აღსანიშნავია, რომ მინიფეხბურთამდე, გეზრბენში გაიმართა შეჯიბრი. ამ შემთხვევაშიც ნინოწმინდელებმა იმარჯვეს.

## ძიუდო

## თამაზ კირაკოზაშვილის „ვერცხლი“ ევროპის პირველობიდან



**უნგრეთის** ქალაქ გიორში ჩატარებულ ევროპის პირველობაში 23 წლამდელ ძიუდოისტთა შორის, სადაც ჩვენი თანამემამულე, საქართველოს, ევროპის, მსოფლიო, ოლიმპიური და სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონი და პრიზიორი, დიდჩაილურელი ფალავანი **თამაზ კირაკოზაშვილიც** მონაწილეობდა.

გიორის ტატამზე 81 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და საფინალო შეხვედრამდე დაუმარცხებლად განვლო შეხვედრები მეტოქეებთან. პირველი დასვენების შემდეგ მან ზედიზედ დაამარცხა აზერბაიჯანის, გერმანიის, უნგრეთის, ჰოლანდიის სახელით მოასპარეზე მოწინააღმდეგეები და ალბათ ფინალსაც მოიგებდა, რომ არა ჰოლანდიელ მეტოქესთან მიღებული ტრავმა. ამ ტრავმის გამო თამაზი მხოლოდ ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა საქართველოში.

*გივი დაბახიშვილი*

## ჭადრაკი

## საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში

**ამასწინათ** საგარეჯოში საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა რაიონის პირველობა ჭადრაკში 7 და 9 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ საჭადრაკო წრეების აღსაზრდელი გოგონები და ბიჭები მონაწილეობდნენ.



9 წლამდე ვაჟებს შორის ყველა შეხვედრა მოიგო და 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ლექსო საბრიმ. 3-3 ქულა დააგროვეს ერეკლე ქურხულმა და იოსებ დარბაისელმა და ამ შემთხვევაში მეორე ადგილის ბედი მათმა ურთიერთშეხვედრამ გადაწყვიტა, სადაც ერეკლე ქურხულმა იმარჯვა, მესამე ადგილი კი იოსებ დარბაისელს მიეკუთვნა (სამივეს მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე).

7 წლამდე ვაჟებს შორის ასევე ყველა პარტია მოიგო საბა ფართლიმ და დაიკავა I ადგილი, მეორე ადგილზე გავიდა შიო შიოშვილი, მესამეზე – ნიკოლოზ ჩალათაშვილი (სამივეს მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე).

9 წლამდე გოგონათა შორის პირველი იყო ლიზი თედიაშვილი,მეორე ადგილზე გავიდა მარი არჩუაძე,მესამეზე – ანანო ქურხული (სამივეს მწვრთნელია ელენე ფარეშიშვილი);

7 წლამდე გოგონათა შორის პირველი იყო მარიამ აგულაშვილი (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), მეორე ადგილი წილად ხვდა ანი ბუზარიაშვილს (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი), მესამე – ნინი აგულაშვილს (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე).

გამარჯვებულ მოჭადრაკეებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა ლაშა იაკობიძემ გადასცა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ხელმოწერილი სიგელები და ოქროს მედლები. საპრიზო ადგილებზე გასულებს კი შესაბამისად ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად.

## ოლიმპიადის პარალელურად



**ახლახანს** ბათუმში ჩატარდა 43-ე საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის პარალელურადაც გაიმართა საქართველოს რეგიონული გუნდური პირველობა 10, 12, 14 და 16 წლამდე ასაკის ვაჟთა და გოგონათა შორის. კახეთის გუნდში თამაშობდნენ საგარეჯოელები: ნიკა კევლიშვილი (14 წლამდე ვაჟთა შორის), 11 წლის ზუკა გამრეკელაშვილი (12 წლამდე ვაჟთა შორის) და 10 წლის ნინო ესაიაშვილი (12 წლამდე გოგონათა შორის).

ტურნირი მიმდინარეობდა ოლიმპიურ დარბაზში. თითო მონაწილეს ეძლეოდა 15 წუთი სვლაზე 10 წამის დამატებით.

კახეთის გუნდმა საბოლოო შედეგების მიხედვით დაიკავა მეექვსე ადგილი. ხოლო ნიკოლოზ კევლიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის დაფაზე – იგი ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა I ადგილის დაკავების შანსს,ამიტომ ბოლო ტურში გარისკა, არ დათანხმდა ყაიმს და საბოლოოდ დამარცხდა, რის გამოც 9 ქულით 11 შესაძლებლობიდან III ადგილს დასჯერდა 14 წლამდე ვაჟთა შორის. წარმატებით იასპარეზა ზუკა გამრეკელაშვილმა (7.5 ქულა და 7 ქულა). ცუდად ითამაშეს თელაველმა მოჭადრაკეებმა – 16 წლის გიორგი დემურხანაშვილმა (3.5 ქულა) და 14 წლიანებში თამთა თასოშვილმა,რის გამოც კახეთის ნაკრებმა ვერ დაიკავა საპრიზო ადგილი.

ნიკა კევლიშვილს გადაეცა ოლიმპიურნიშნიანი მედალი III ადგილისათვის. ასევე ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ჭადრაკის დაფებითა და საჭადრაკო ემბლემიანი ქუდით.

## ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური

# ის, რაც მათი ვალია

**დასასრული**

რაც შეეხება 50 000 ლარს, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესასყიდად, ჯერჯერობით, ჩვენი სამსახურიდან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა თანხის გახარჯვა.

***– ჩვენს მუნიციპალიტეტს ნამდვილად საამაყოდ აქვს ის მიღწევები, რასაც ჩვენი სპორტსმენები – მოჭიდავეები, რაგბისტები, მოჭადრაკეები აღწევენ ქვეყნისა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ასპარეზობებში. ამაში, რა თქმა უნდა, გარკვეული წვლილი მუნიციპალიტეტის მერიასა და თქვენს სამსახურსაც მიუძღვის. ალბათ ჩვენს მკითხველს დააინტერესებს ამ კუთხით თქვენი სამსახურის მიერ გაწეული მუშაობაც...***

– რა თქმა უნდა და შევეცდები ამ კითხვაზეც ამომწურავი პასუხი გავცე. სულ წლის დასაწყისიდან 1 ნოემბრამდე ჩვენს მიერ ამ კუთხით გაწეული მუშაობა ასე გამოიყურება:

1. რაგბისტების დაფინანსება გერმანიაში - 1092 ლ. 2. ნინოობის დღესასწაულისათვის პრიზის შეძენა - 375ლ. 3. ფორმების შეძენა სასკოლო ოლიმპიადის რეგიონული ტურებისათვის - 1104ლ. 4. ქართული ჭიდაობის ფედერაციაში ანგარიშზე ჩარიცხვა - 4000ლ. 5. ყველიერის დღესასწაულისათვის პრიზის შეძენა - 375ლ. №6. დედოფლისწყაროში ტრანსპორტირება სასკოლო ოლიმპიადა - 220 ლ. №7. ტრანსპორტირება თელავში სასკოლო ოლიმპიადა - 220ლ. №8.ტრანსპორტირება ლაგოდეხში,ქართული ჭიდაობა - 240ლ. №9. ტრანსპორტირება თბილისში ორი დღე, კიკბოქსი - 200ლ. 10.მედლების და თასების შეძენა კიკბოქსის ტურნირისათვის - 810ლ. №11.ტრანსპორტირება,მოჭიდავეების გაგზავნა წყალტუბოში - 580ლ. №12. ტრასნპორტირება, სასკოლო ოლიმპიადა ყვარელში - 200ლ. №13.ტრანსპორტირება, თბილისში 2008-2009 წლებში დაბადებული ფეხბურთელების - 120ლ. 14.თინათინ რევაზიშვილის გაგზავნა ჩეხეთში ევროპის ჩემპიონატზე სამბოში - 2 925ლ. 15.რაგბის კლუბისთვის სპორტული ინვენტარის შეძენა - 1999.50 ლ. №16. ტრანსპორტირება ყვარელში სასკოლო ოლიმპიადა - 200ლ. 17. ასაკობრივი საფეხბურთო გუნდების საწევრო შესატანი და მსაჯთა მომსახურება - 1142 ლ. 18. მკლავჭიდის დაფინანსება - 1352 ლ. №19. ტრანსპორტირება ლამბალოში - 90ლ. №20. ტრანსპორტირება თბილისში, კალათბურთი - 120ლ.№21. ტრანსპორტირება თბილისში, ზონალური ტური მინი ფეხბურთში - 120ლ. №22. ტრანსპორტირება გორში, ფეხბურთელები 2008 – 2009 წლებში დაბადებულები - 300ლ. 23. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ბავშვების საჩუქრების დაფინანსება - 130ლ. №24.ტრანსპორტირება თელავში რეგიონულ ტურზე 30-31 მაისი კალათბურთი, ჭადრაკი - 440ლ. 25.რამაზ ასაბაშვილის დაფინანსება უნგრეთში - 1400 ლ. №26.კალათბურთელების ტრანსპორტირება თელავში 2 – 3 ივნისი - 440 ლ. №27.ტრანსპორტირება ხაშურში ფეხბურთი - 350ლ. №28.ტრანსპორტირება თელავში კალათბურთი - 220ლ. 29.საფეხბურთო ფორმის შეძენა მერიის გუნდისთვის - 275 ლარი. 30.საფეხბურთო გეტრების შეძენა სამოყვარულო ფეხბურთის გუნდისთვის - 80 ლარი. 31.სარეკლამო ბანერის დამზადება და ფორმებზე ნომრების დაბეჭდა - 225 ლარი. №32. ტრანსპორტირება ახმეტაში, სამოყვარულო ფეხბურთი - 240 ლარი. №32. ტრანსპორტირება ველისციხეში, სამოყვარულო ფეხბურთი - 150ლარი. №33. ტრანსპორტირება ნაფარეულში, სამოყვარულო ფეხბურთი - 250ლარი. №34. ტრანსპორტირება ხელვაჩაურში, გოგონა ძიუდოისტები - 860ლარი. 35. გოგონა ძიუდოისტების სასტუმროს დაფინანსება ხელვაჩაურის ტურნირზე - 522ლარი. №36. ძიუდოისტების ტრანსპორტირება ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე - 480ლარი.37. თასების შეძენა მინი ფეხბურთის ტურნირისთვის - 230ლარი. 38. ფულადი ჯილდო მინი ფეხბურთში გამარჯვებული გუნდებისთვის - 1000ლ. №39. ტრანსპორტირება გურჯაანში, სამოყვარულო ფეხბურთი - 140 ლარი. №40. ტრანსპორტირება თელავში, სამოყვარულო ფეხბურთი - 220 ლარი. №41. ტრანსპორტირება ლაგოდეხში, სამოყვარულო ფეხბურთი, ორი სატრანსპორტო საშუალება- 480 ლარი. №42. ტრანსპორტირება თელავში, მხიარული სტარტების ნახევარ - ფინალი, ორი სატრანსპორტო საშუალება - 440 ლარი. №43. ტრანსპორტირება თელავში, მხიარული სტარტების ფინალი, ორი სატრანსპორტო საშუალება - 440 ლარი. №44. ტრანსპორტირება დედოფლისწყაროში, სამოყვარულო ფეხბურთი - 220 ლარი. №45. ტრანსპორტირება ველისციხეში, სამოყვარულო ფეხბურთი - 160 ლარი.

სპორტსმენების ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია 8080 ლარი და წლის ბოლომდე დარჩენილია 420 ლარი.

სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის დახარჯულია 27 116 ლარი. წლის ბოლომდე დარჩენილია 2463 ლარი.

ასეთია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ წლის დასაწყისიდან 10 თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები და შევეცდებით წლის დასრულებამდე დარჩენილ დროშიც ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების პირნათლად შესრულებისათვის.

## მილოცვა

**დაბადების** დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროს სპეციალისტს*** **ნათელა თედიაშვილს!** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და დიდხანს სიცოცხლეს.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო.*

---

### ვანო ბუჩაშვილს და ეკა მაჩურიძეს

**გილოცავთ** ვაჟიშვილის დავითის დაბადებას.

ჩემო პატარა დაიკო ეკა, ამასთან ერთად გილოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული არ მოგკლებოდეს შენს პატარა ოჯახთან ერთად საქართველოს პატარა და ლამაზ ქალაქ საგარეჯოში.

*ძმა – გიორგი მაჩურიძე*

---

### ლია ლაფაჩიშვილი-მაჩურიძეს

**გილოცავთ** დაბადების დღეს! ახლა როგორი გახარებული დედაც ხარ, სულ ასეთი გვენახოს შენი ლამაზი და მომღიმარი სახე.

***დედა** ქუქუნა ლოლაშვილი, **მეუღლე** შოთა მაჩურიძე; **შვილები** – გიორგი, მაკა, ეკა; **სიძეები** – გიორგი კუზანაშვილი, ვანო ბუჩაშვილი; **შვილიშვილები** – მარი, ალიკა, დავითი.*

## კულტურა

### ნოდარ დუმბაძე- 90

# ბავშვების საყვარელი მწერალი





**კულტურის** სახლში საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახელწოდებით „მზიანი გული“ ჩატარდა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქ. საგარეჯოს №1, №2 და №3 საჯარო სკოლისა და საგარეჯოს №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები.

ბავშვებმა მხატვრულად და საინტერესოდ წარმოადგინეს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება და გააცოცხლეს მისი პერსონაჟები. ღონისძიება იყო სიყვარულით და ღიმილით, სევდითა და იუმორით სავსე, როგორიც თავად მწერალი იყო.

ნოდარ დუმბაძემ პირველი ლიტერატურული წარმატება საბავშვო პოეზიაში მოიპოვა. მწერალს პოპულარობა თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა მოუტანა, მან გულიანად აცინა და კიდეც ატირა მკითხველი. ის იყო დიდი ქართველი, რომელმაც ფილოსოფოსებზე უკეთესად ახსნა ადამიანის არსებობის არსი, “მარადისობის კანონი“.

ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ბიბლიოთეკარი ვერიკო კერატიშვილი.

*ნინო გვაგვალია*





## წარსულის მოგონებებით

# როცა წიგნი აინტერესებდათ, უყვარდათ, ეძებდნენ...



**სოციალურმა** ქსელებმა ასაკისდა მიუხედავად 21-ე საუკუნის ადამიანები გარესამყაროს ისე მოსწყვიტა, გააუცხოვა და გაათითოკაცა, შეუმჩნეველი დარჩა გარესამყარო. ის, რასაც წიგნი იძლეოდა და იძლევა, თითქმის აღარავის აინტერესებს. არადა, წიგნი ამ ორი ათეული წლის წინ ადამიანის მეგობრად, ცოდნის წყაროდ, ერთმანეთთან ურთიერთობის უდიდესი საშუალება იყო. გასული საუკუნის 80 წელი საბჭოეთის სივრცეში ჩაკეტილი ადამიანები ბიბლიიდან შორს მდგომები ღმერთის შეცნობას სხვადასხვა პოეტებისა და მწერლების შემოქმედებით შედევრებში ეძებდნენ, კითხულობდნენ, აანალიზებდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ. წიგნს დიდ პატივს სცემდნენ, ინტერესით ელოდნენ ყოველი ახალი გამოცემის გამოსვლას, ლამაზ თაროებზე განალაგებდნენ და სასოებით ინახავდნენ.

რედაქციის კარები გაუბედავად შემოხსნა, მოიბოდიშა, შეთავაზებულ სკამზე მორიდებით ჩამოჯდა. როცა მისი სტუმრობით სიხარული შემატყო, ცოტ-ცოტა მოეხსნა დაძაბულობა... ნელ-ნელა გავახსენე გასული საუკუნის თბილი, ტკბილი, კაცთმოყვარეობით გამთბარი წლები, თანამშრომლები, თავად მისი საქმიანობა და საუბარიც აეწყო.

ეს ქალბატონი ჟუჟუნა ოდიკაძეა – საგარეჯოს ყოფილი რაიკოოპკავშირის ერთ-ერთი თვალსაჩინო აქტივისტი, თანამშრომლებისა და საგარეჯოელებისაგან დაფასებული ქალბატონი. 15 წელი საგარეჯოს რაიონული სასამართლოს სახალხო მსაჯული იყო, იყო საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი, გაზეთ „ივრის განთიადის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, რაიკოოპკავშირის პარტორგანიზაციის მდივანი და წიგნის საქონელმცოდნე. ამასთან, რაიკოოპკავშირთან არსებულ ვაჭრობის ერთთვიან კურსებზე ასწავლიდა მსმენელთ. მის ხელში 300-მა ახალგაზრდამ მიიღო კვალიფიკაცია და საგარეჯოს რაიკოოპკავშირის მრავალრიცხოვან თანამშრომლებს ყოველწლიურად ახალ-ახალი კადრი ემატებოდა.

ქ-ნმა ჟუჟუნამ 1965 წლიდან დაიწყო მუშაობა. პარალელურად მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლობდა. წიგნების მაღაზია, რომელშიც ის მუშაობდა, ყოფილი რაიკოოპკავშირის შენობის პატარა შენობის I სართულზე, ძალიან პატარა ოთახში იყო. როცა ახალი შენობა ააშენეს იმავე ადგილას, მაშინდელმა რაიკომის I მდივანმა გაითვალისწინა ქ-ნი ჟუჟუნას თხოვნა და წიგნის მაღაზია იმ ლამაზ, ახალ შენობაში განთავსდა, ოღონდ ყველაფერი მის თვალწინ მოწესრიგდა. მაღაზიაში ნუნუ ყირმელაშვილი და მერი თედიაშვილი თავაზიანად ურჩევდნენ შესაფერის ლიტერატურას მომხმარებლებს, რომლებიც მართლაც დიდი ინტერესით აკითხავდნენ მაღაზიას და ზოგიერთი იქვე ისე ერთობოდა კითხვით, ხშირად საათებიც კი გადიოდა... ერთხელ ისეც კი მოხდა, შესვენებაზე გასულ წიგნის მაღაზიის თანამშრომლებს ახალი წიგნის კითხვაში გართული ახალგაზრდა (შემდგომში მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი) მაღაზიაში ისე ჩაეკეტათ, თავად წიგნის მკითხველსაც ვერ გაეგო.

წიგნები მანქანით დაჰქონდათ სოფლებში, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ სკოლებში შეჰქონდათ წინასწარ შედგენილი გრაფიკით – არც ერთ მოსწავლეს არ უნდა დაჰგვიანებოდა წიგნის მიღება. ახლა იხსენებს – ზემო მანავში სასწავლო წიგნები 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს შევიტანეთ, ხოლო წიგნების მიმღები სასაფლაოდან ჩამოვიყვანეთ და ისე „მივუტანეთ“ წიგნები...

დღითიდღე იზრდებოდა მოთხოვნა წიგნზე, წიგნს ითხოვდა პედაგოგი, ექიმი, მევენახე, მესაქონლე, მოსწავლე, მევენახე, მეაბრეშუმე, ქარხნების და ფაბრიკების მუშები. ამასთან, მართლაც საინტერესო გამოცემები იყო ქართველი და უცხო კლასიკოსების, სხვადასხვა ჟანრის. იყო შემთხვევა, წაკითხული წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა და რამდენიმე თვეში ისე ცვდებოდა, ძველი გეგონებოდათ.წაკითხული წიგნის ირგვლივ კი მსჯელობა ზოგჯერ საათობით გრძელდებოდა, ზოგჯერ თვეებიც ვერ ივიწყებდნენ.

დღეს კი იშვიათია წაკითხულ წიგნზე საუბარი – სოციალურმა ქსელებმა, მობილურმა ტელეფონმა, ათასნაირმა უაზრო გასართობებმა ადამიანები წიგნს ჩამოაშორა, – ***მეუბნება ქ-ნი ჟუჟუნა,*** არის ოჯახები, სადაც წიგნებით სავსეა ოთახები, მაგრამ ის წიგნები იქ მცხოვრებ ახალგაზრდებს არც აინტერესებთ, არადა, მახსოვს, როგორი სიხარულით და რუდუნებით აგროვებდნენ მათი ბებიები და პაპები, მშობლები.

– მაგრამ ვიტოვებ იმედს, რომ ახალგაზრდობა მიუბრუნდება წიგნს – ცოდნის დიდ წყაროს, საუნჯეს. ამის იმედს ის გამოცემებიც მაძლევს, რომელიც ბოლო წლებში ვრცელდება ჩვენს მოსახლეობაში. წარმოიდგინეთ, 70-80 წლებში ისე იყო გაზრდილი წიგნზე მოთხოვნა, რომ მაშინდელი რაიკომი „ანაწილებდა“ წიგნებს – შრომის მოწინავე ადამიანებზე. ჩვენს მუშაკებსაც დიდი წვლილი მიგვიძღვის წიგნის გავრცელებაში. ამიტომაც დამაჯილდოვეს კარგი მუშაობისათვის და ბულგარეთსა და დასავლეთ გერმანიაში მოგზაურობის საგზური მომცეს, ამასთან დამაჯილდოვეს სხვადასხვა საგზურებით.

ვკადნიერდები და 82 წლის გადმოსახედიდან გირჩევთ, ეცადეთ, რომ კვლავ აღორძინდეს წიგნზე მოთხოვნა, ახალგაზრდებო, შეიყვარეთ წიგნი – ცოდნის წყარო, სწორედ ის გაგიკაფავთ მომავალი ცხოვრების სწორ გზას!

***ჩაიწერა** თინა ილაურმა*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com